



ანგარიში

საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის
სტრატეგიის (2013–2020 წწ)
2015 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელება

პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

თბილისი, 2015 წელი

სარჩევი

აბრევიატურები	3
შესავალი	4
თავი I. პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის 2015 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელება	5
1. პროფესიული განათლების რეფორმის მართვა და კოორდინირება.....	5
1.1. სტრატეგიის განხორციელების კოორდინირება.....	6
1.2. პროფესიული განათლების რეფორმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება.....	6
1.3. შესაძლებლობების გაძლიერება	7
1.4. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	8
2. სოციალური პარტნიორობა.....	8
2.1. სოციალური პარტნიორობა მაკრო დონეზე - ეროვნული პროფესიული საბჭო.....	10
2.2. სოციალური პარტნიორობა მეზო დონეზე - დარგობრივი საბჭოები.....	11
2.3. სოციალური პარტნიორობა მიკრო დონეზე -სამეთვალყურეო საბჭოები.....	12
3. პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა	13
3.1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის გაფართოება, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	14
3.2. პროფესიული კოლეჯების შესაძლებლობების გაძლიერება	15
3.3. პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა მოწყვლადი ჯგუფებისთვის	15
3.4. საცხოვრებელი სტიპენდიების უზრუნველყოფა.....	16
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან	16
4.1. შრომის ბაზრის ანალიზი.....	17
4.2. პროფესიული და შეფასების სტანდარტები.....	18
4.3. მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტები და შეფასების ინსტრუმენტები.....	19
4.4. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა	20
4.5. საგანმანათლებლო რესურსები.....	20
5. პროფესიული მასწავლებლების შესაძლებლობები და უწყვეტი პროფესიული განვითარება	22
5.1. პროფესიული განათლების მასწავლებლების ტრენინგი სისტემურ დონეზე.....	22
5.2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა მონაცემთა ბაზა.....	22
5.3. პროფესიული მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება	23
6. პროფესიული განათლების ხარისხი	24
6.1. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გაუმჯობესება.....	25
6.2. არაფორმალური განათლების აღიარება.....	25
6.3. საერთაშორისო და ეროვნული კონკურსები.....	26
6.4. ხარისხის მართვა პროფესიულ კოლეჯებში.....	26
7. კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობა	26
7.1. მარეგულირებელი დოკუმენტების მომზადება	26
7.2. ტრენინგები.....	27
7.3. კვლევები	27
8. პროფესიული განათლების იმიჯისა და სტატუსის გაუმჯობესება.....	28
8.1. საინფორმაციო შეხვედრები	28
8.2. საკომუნიკაციო აქტივობები.....	29
8.3. შესაძლებლობების გაძლიერება	29
8.4. რეგულარული კვლევები	29
თავი II. სტრატეგიის 2015 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების შეჯამება- ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები	31

აბრევიატურები

EU	ევროკავშირი
GIZ	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება
MCA-G	ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო
NCEQE	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
TPDC	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
EMIS	განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
SIAP	პროფესიული განათლების სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა

შესავალი

ანგარიშში განხილულია საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2013-2020წწ) 2015 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების ძირითადი მიმართულებები და მიღწეული შედეგები.

საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013–2020 წწ)¹ პროფესიული განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტია და წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ხედვას საქართველოში პროფესიული განათლების განვითარების შესახებ. სტრატეგია შემუშავებულია დაინტერესებულ მხარეებთან ფართო კონსულტაციის საფუძველზე.

სტრატეგიის ზოგადი მიზანია:

- საქართველოს მთავრობის პრიორიტეტების მხარდაჭერა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და სიღარიბის დაძლევაში;
- ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა ინდივიდუალურ და ეროვნულ დონეზე ქვეყნის მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;
- საზოგადოების ყველა ფენის, მათ შორის სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი მოსახლეობის, პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მათი პიროვნული თვითრეალიზებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

სტრატეგიის კონკრეტული მიზნებია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, მოქნილი პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს არსებული და მომავალში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისათვის მაღალი ხარისხის კომპეტენციების განვითარებას, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისათვის; მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლისათვის პროფესიული და პიროვნული განვითარების სრული და თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფა, მათი მომზადება დასაქმებისა და თვითდასაქმებისათვის, კარიერის მდგრადი განვითარებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით.

სტრატეგიაში გამოყოფილია 7 შედეგი, რომლის მიხედვითაც ჩამოყალიბებულია სტრატეგიის პრიორიტეტები, ამოცანები და სამოქმედო გეგმა. ეს შედეგებია:

1. სოციალური პარტნიორების სრული და თანაბარი მონაწილეობა პროფესიული განათლების სისტემის მართვაში, პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების (კერძო და საჯარო) ერთიანი, მოქნილი ქსელის განვითარება და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა შრომის ბაზრის არსებულ და სამომავლო მოთხოვნებთან;
4. პედაგოგიური კადრების მომზადება და უწყვეტი პროფესიული განვითარება;
5. ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე აღიარებული პროფესიული კვალიფიკაციების სისტემის ჩამოყალიბება;
6. კურსდამთავრებულების დასაქმებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობა;
7. პროფესიული განათლების, იმიჯისა და მიმზიდველობის გაუმჯობესება.

¹დამტკიცდა 2013 წლის 26 დეკემბერს

თავი I. პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის 2015 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელება

1. პროფესიული განათლების რეფორმის მართვა და კოორდინირება

მოკლე მიმოხილვა

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აკისრია ცენტრალური ფუნქცია პროფესიული განათლების რეფორმის მართვაში, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. შესაბამისად, სტრატეგიასა და 2015 წლის სამოქმედო გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამინისტროს (და მისი სააგენტოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების) რესურსებისა და შესაძლებლობების გაძლიერებას პროფესიული განათლების მართვისა და მონიტორინგის საკითხებში, საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობა-გაზიარებას.

რეფორმის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია კოორდინირების ეფექტური მექანიზმების ჩამოყალიბება. პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტმა 2014 წლიდან შეიმუშავა სამინისტროს სააგენტოების საქმიანობის კოორდინირების გეგმა, რომელიც მოიცავს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის ფარგლებში სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამოქმედო გეგმებს და განხორციელების, ასევე ანგარიშების ვადებს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ასევე ჩამოაყალიბა სისტემაში მოქმედი დონორი ორგანიზაციების (EU, MCA, UNDP, GIZ და სხვა) კოორდინირების მექანიზმი, რაც რეგულარულ შეხვედრებში გამოიხატება.

სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და მონიტორინგის პროცესში. 2013-2014 წლებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად შემუშავდა პროფესიული განათლების სისტემის მონიტორინგის ბაზა², რომლის განახლება სისტემატურად ხდება.

სტრატეგიის მისაღწევ შედეგებს შორისაა:

1. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პროფესიული განათლების რეფორმის მართვა და კოორდინირება;
2. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა - სტატისტიკა, ინდიკატორები და ანალიზი.

² ბაზა მოიცავს შემდეგ მონაცემებს: საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური სასწავლო ბაზა; საგანმანათლებლო პროგრამები; საკვალიფიკაციო გამოცდები; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ბიზნესთან თანამშრომლობის ფორმები; დაწესებულების პედაგოგებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ძირითადი მონაცემები (დემოგრაფიული, კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ); სტუდენტთა ძირითადი დემოგრაფიული მონაცემები; სტუდენტის წინმსწრები განათლება და კვალიფიკაცია; სტუდენტების ჩართულობა პროფესიულ პროგრამებში; პროგრამის მიტოვების მაჩვენებელი; მონაცემები სტუდენტის მიერ საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შესახებ; კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი და ა.შ.

განხორციელებული აქტივობები და მიღწეული შედეგები

1.1. სტრატეგიის განხორციელების კოორდინირება

სტრატეგიის დანერგვის კოორდინირებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი ახორციელებს. საკოორდინაციო შეხვედრები კვარტალში ერთხელ იმართება. 2015 წელს სამინისტროს სსიპ-ებთან ჩატარდა 4 საკოორდინაციო შეხვედრა (16-17.01.2015; 28-30.05.2015; 18-19.09.2015; 15.10.2015), სადაც წარმოდგენილი იყო სტრატეგიის განხორციელების ანგარიშები, მიღწევები და გამოწვევები.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ასევე ჩატარდა 4 საკოორდინაციო შეხვედრა (02.04.2015; 24.07.2015; 23.10.2015; 17.12.2015) დონორ ორგანიზაციებთან (EU, MCA, UNDP, GIZ, Norwegian Project), რომლებიც ჩართულები არიან სტრატეგიის დანერგვის პროცესში. შეხვედრებზე განხილული იყო საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტები/პროგრამები, მათი მიმდინარეობა და სამომავლო გეგმები.

პროფესიული განათლების ინსტიტუციური შეფასება (RIA)

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში ჩატარდა პროფესიული განათლების ინსტიტუციური შეფასება ევროპის განათლების ფონდის მეთოდოლოგიის (ETF) მიხედვით. პროფესიული განათლების ინსტიტუციური შეფასების (RIA) მიზანს წარმოადგენდა პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმის (SIAP) კრიტიკული საკითხების იდენტიფიცირება. პროფესიული განათლების ინსტიტუციური შეფასება (RIA) დაეფუძნა დაინტერესებულ მხარეებთან და პროცესის მონაწილეებთან კონსულტაციებს. პროფესიული განათლების ინსტიტუციური შეფასების შედეგად გამოიკვეთა ცვლილებების საჭიროება ოთხი ძირითადი მიმართულებით:

- **კანონმდებლობა** - ახალი კანონისა და კანონქვემდებარე აქტების მიღება, მათ შორის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსი;
- **ფუნქციები და როლები** - ფუნქციებისა და როლების დაბალანსებული და მკაფიო გადანაწილება;
- **პროცესები და მეთოდები** - შესაბამისი პროცედურების ჩამოყალიბება მართვის ავტომატიზებისა და ფაქტებზე დაფუძნებული პოლიტიკის (Evidence-informed policy) განხორციელებისთვის;
- **კადრების კომპეტენციები** - თანამშრომელთა კარიერული განვითარებისა და ზრდისათვის ინსტიტუციური მექანიზმების ჩამოყალიბება.

ამ ოთხი პრიორიტეტის შესაბამისად შემუშავდა ე.წ. „რეფორმის დღის წესრიგი“, რომელზე მუშაობაც 2016 წელსაც გაგრძელდება.

1.2. პროფესიული განათლების რეფორმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება

პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველო პასუხისმგებელია სტრატეგიის დანერგვის მონიტორინგზე. ევროკავშირის “დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარების პროექტის” დახმარებით, სტრატეგიის სამოქმედო გეგმის დანერგვის ეფექტურობის გაზრდისა და გამარტივების მიზნით შემოთავაზებული იყო ე.წ. მატრიცის მართვის მოდელი (Matrix Management Model -MMM); ამ მოდელის მიხედვით აქტივობები დაჯგუფდა 4 ძირითად კატეგორიად:

1. თემატური პოლიტიკა:

- ხარისხის გაუმჯობესება;
- ინკლუზია და ხელმისაწვდომობა;
- უნარების შესაბამისობა და დასაქმება;
- მასწავლებლების განვითარება;
- ცნობიერების ამაღლება;

- ინსტიტუციური განვითარება და შესაძლებლობების გაუმჯობესება;
- ინფრასტრუქტურის განვითარება

2. კანონმდებლობა;

3. ფინანსები;

4. მონიტორინგი და შეფასება.

სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების მატრიცის მართვის მოდელი 2015 (SIAP) არის ელექტრონული დოკუმენტი, რომელიც იძლევა განახლებისა და განვითარების შესაძლებლობას. სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების მატრიცის მართვის მოდელის (SIAP) საფუძველზე პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველომ ჩაატარა სტრატეგიის 2015 წლის სამოქმედო გეგმის დანერგვის მონიტორინგი; შედეგები ასახულია მონიტორინგის ანგარიშში.

1.3. შესაძლებლობების გაძლიერება

2015 წლის განმავლობაში არაერთი აქტივობა განხორციელდა პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ-ების შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით. 2015 წლის 2-9 დეკემბერს ევროკავშირის „დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმის ტექნიკური დახმარების“ პროექტის მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი ევროკავშირის საგრანტო პროექტების მონიტორინგსა და შეფასებაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს თანამშრომლებმა.

საერთაშორისო გამოცდილების გაცნობისა და გაზიარების მიზნით პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტისა და სსიპ-ების თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს დონორი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ სასწავლო ტურებში. მათ შორის იყო:

- სასწავლო ტური გერმანიაში გერმანული გამოცდილების გაზიარების მიზნით (UNDP; 03-08.05.2015);
- სასწავლო ტური, ქ. ვენაში ავსტრიული გამოცდილების გაზიარების მიზნით (23-26.03.2015);
- ფორუმი „Integrated and networked approaches to skills anticipation and matching – experiences in the EU and Eastern Partnership region“ ქ. ჰელსინკში (ETF; 09-13.06.2015)
- სამუშაო შეხვედრა ქ. პარიზში (ETF; 17-20.11.2015);
- სასწავლო ტური ხორვატიაში (EU; 27.09-03.10.2015);
- სამუშაო შეხვედრები ქ. მიუნხენში, პროფესიული განათლების სფეროში კერძო სექტორის ჩართულობის შესახებ (GIZ; 17-23.05.2015);
- სამუშაო შეხვედრები ქ. ლვოვში საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დაარსებასთან დაკავშირებით (GIZ და ებერჰარდ შოკის ფონდი; 10-13.11.2015);
- სასწავლო ტური გერმანიაში (ბავარია, ანსბახი და რეგენსბურგი) მასწავლებლის მეთოდურ სახელმძღვანელოზე მომუშავე ჯგუფისთვის (UNDP; 18-24.10.2015);
- სასწავლო ტური ქ. მადრიდში დასაქმების ხელშეწყობის სერვისების გაცნობის მიზნით (“მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ“ (ACF ესპანეთი) 5-11.07.2015).

2015 წლის ივლის-აგვისტოში, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგების საჭიროებების ანალიზი ძირითად კომპეტენციებში³ პროფესიული განათლების სექტორის სააგენტოების მენეჯერებთან; კვლევის საფუძველზე დაიგეგმა ტრენინგები, რომლებიც 2016 წელს ჩატარდება.

1.4. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

EMIS მონაცემთა ბაზა

ამჟამად EMIS მონაცემთა ბაზა განახლების პროცესშია. სამინისტროს ინიციატივით და ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის მხარდაჭერით შეიქმნა ტექნიკური სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება EMIS შემდგომ განვითარებაზე. თემატური ჯგუფის მიზანია, ხელი შეუწყოს ფაქტებზე დაფუძნებული პოლიტიკის განვითარებას, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვას და პროფესიული განათლების სტრატეგიის შესრულების მართვის ავტომატიზაციას. 2015 წლის განმავლობაში გაიმართა 3 შეხვედრა და მომზადდა სპეციფიკაციები EMIS-ის განსავითარებლად პროფესიულ განათლებაში.

2015 წელს პროფესიული განათლების სისტემის მონიტორინგის ბაზას დაემატა შემდეგი ინფორმაცია (ველები): კოლეჯებისთვის საჭირო ხელსაწყოებისა და მასალების, ახალი მოდულური პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობის შეძენის ფორმა და შეძენის შესახებ ინფორმაციის დადასტურება.

კვარტალურად გადასარიცხი თანხების დადასტურების მიზნით შეიქმნა დაფინანსების მოდული და ელექტრონული ჟურნალი, რომელშიც ჩართულები არიან სამინისტროს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები. ყველა საჯარო და საზოგადოებრივი კოლეჯი (20 კოლეჯი) დაკავშირებულია მონაცემთა ბაზასთან. კერძო კოლეჯებისათვის ბაზაში მონაცემების შეტანა ამ ეტაპზე ნებაყოფლობითია.

2. სოციალური პარტნიორობა

მოკლე მიმოხილვა

პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია ხაზს უსვამს სოციალური პარტნიორობის, როგორც თანასწორი მხარეების ჩართულობის მნიშვნელობას პროფესიული განათლების პოლიტიკის ჩამოყალიბების, განხორციელებისა და შეფასების პროცესში. სტრატეგია აქცენტს აკეთებს სოციალური პარტნიორობის გაძლიერებაზე პროფესიული განათლების სისტემის ფორმირების ყველა დონეზე:

- **მაკრო (პოლიტიკის) დონეზე** სოციალური პარტნიორობის ძირითადი ინსტიტუცია ეროვნული პროფესიული საბჭოა;
- **მეზო (ტექნიკურ) დონეზე** მოიაზრება თანამშრომლობა დარგობრივი საბჭოების საშუალებით;
- **მიკრო (ინსტიტუციურ) დონეზე** პარტნიორობა გულისხმობს თანამშრომლობას საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე.

³ 1. საქართველოს ეკონომიკა, შრომის ბაზარი და განათლების სისტემა
2. პროფესიული განათლების პოლიტიკა, სტრატეგია და სამოქმედო გეგმები
3. ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო და საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო
4. პროფესიული განათლების კანონმდებლობა
5. პროფესიული განათლების დაფინანსება
6. სწავლა 21-ე საუკუნეში და ისტ-ის როლი განათლებაში
7. შესავალი პროფესიული განათლების სექტორის მართვაში
8. კოლეჯის დაგეგმვა ევროპის განათლების ფონდის (ETF) მოდულის საფუძველზე

სტრატეგიაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა არსებული სტრუქტურების შესაძლებლობების გაძლიერებას, როგორცაა: ეროვნული პროფესიული საბჭო, დარგობრივი კომიტეტები, სამეთვალყურეო საბჭოები, თემატური სამუშაო ჯგუფები; შესაძლებლობების გაძლიერებაში განიხილება როგორც შემადგენლობის დაბალანსება/გადახედვა, ასევე მეთოდოლოგიური მხარდაჭერა, სხვადასხვა ტიპის სემინარების, შეხვედრების, ტრენინგებისა და ა.შ. ორგანიზება.

ეროვნული პროფესიული საბჭო წარმოადგენს პროფესიული განათლების სფეროში ეროვნულ დონეზე ჩამოყალიბებულ მთავარ სათათბირო ორგანოს. 2009 წელს საბჭო ჩამოყალიბდა როგორც სოციალური პარტნიორობის პრინციპებზე დაფუძნებული ორგანო დამსაქმებელთა ორგანიზაციების, პროფესიული კავშირებისა და სხვა ბევრი ასოციაციის მოთხოვნის საპასუხოდ. საბჭოს მიზანია პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების პოლიტიკის ფორმირების პროცესში საბჭოს მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფა, პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების მომზადება საქართველოს მთავრობისთვის ან/და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის.

2014 წლიდან საბჭო ფუნქციონირებს როგორც ოთხმხრივი ორგანო⁴ - მთავრობა, დასაქმებულთა და დამსაქმებელთა ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოება. 2015 წლიდან საბჭოსთან ფუნქციონირებს 9 განახლებული თემატური სამუშაო ჯგუფი, რომელთა კოორდინირებას ახორციელებს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი დონორ ორგანიზაციებთან ერთად; ეს თემატური სამუშაო ჯგუფებია:

1. საბჭოს რეგლამენტის შემუშავების;
2. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების;
3. კერძო სექტორის პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმების;
4. პროფესიული კონსულტაციის/კარიერის დაგეგმვისა და სამეწარმეო განათლების;
5. პროფესიულ განათლებაში ხარისხის მართვის;
6. პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების;
7. ინკლუზიური პროფესიული განათლების განვითარების;
8. არაფორმალური განათლების აღიარების;
9. სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლებისა და ექსტენციის.

საბჭოს სამდივნოს ფუნქციას ასრულებს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის სამმართველო.

2015 წელს ევროკავშირის „დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმის ტექნიკური დახმარების“ პროექტის მხარდაჭერით მომზადდა დოკუმენტი ეროვნული პროფესიული საბჭოს, სამდივნოსა და თემატური სამუშაო ჯგუფების შესაძლებლობების გაძლიერებასთან დაკავშირებით. ამავე წელს დაინერგა გარკვეული აქტივობები, რომელთა გაგრძელება 2016 წელსაც იგეგმება.

2010 წლიდან სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დარგობრივი საბჭოები ფუნქციონირებდა 14 სფეროში⁵. 2015 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები

⁴რეგულირდება 2014 წლის 26 დეკემბრის N720 დადგენილებით

⁵ 1.სამთო და გოიონჟინერია; 2.მანქანათმშენებლობა, ტექნოლოგია, მეტალურგია და მასალათმცოდნეობა; 3. ხელოვნება; 4. ბიზნესის ადმინისტრირება; 5. ტურიზმი; 6. ჯანდაცვა; 7. საზღვაო, სარკინიგზო, საჰაერო, სახმელეთო ტრანსპორტი; 8. ენერგეტიკა და ვაჭრობა; 9. აგრარული მეცნიერებები; 10. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ჟურნალისტიკა; 11.მშენებლობა და გარემოს დაცვა; 12.კომპიუტერული

განხორციელდა დარგობრივ საბჭოებთან დაკავშირებით, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში, MCA-G პროექტთან “პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის” თანამშრომლობით იგეგმება საბჭოების შესაძლებლობების გაძლიერება.

სოციალური პარტნიორობა პროფესიული კოლეჯების დონეზე ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოების საშუალებით. სამეთვალყურეო საბჭოები შედგება 5 წევრისაგან: დამსაქმებელი, მშობელი, სტუდენტი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი. კვლევები აჩვენებს⁶, რომ სუსტია თანამშრომლობა კერძო სექტორსა და კოლეჯებს შორის; პარტნიორობა ნაკლებად სისტემატური და სისტემატიზებულია, რაც გაუმჯობესებას საჭიროებს. ასევე, მნიშვნელოვანია კერძო სექტორსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის “წარმატებული შემთხვევების” გაანალიზება და გავრცელება.

განხორციელებული აქტივობები და მიღწეული შედეგები

2.1. სოციალური პარტნიორობა მაკრო დონეზე - ეროვნული პროფესიული საბჭო

სოციალური პარტნიორობის მხარდასაჭერად, 2015 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით, განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

1. ეროვნული პროფესიული საბჭოს ყოველწლიური საინფორმაციო სემინარები

საინფორმაციო სემინარების დაგეგმვის მიზნით, ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით ჩატარდა ეროვნული პროფესიული საბჭოს საჭიროებების კვლევა; კვლევამ აჩვენა, რომ ეროვნული პროფესიული საბჭოს წევრებისთვის მნიშვნელოვანია დამატებითი ინფორმაციის მიღება შემდეგ საკითხებზე:

1. სოციალური პარტნიორობა - სოციალური დიალოგი;
2. საჯარო - კერძო პარტნიორობა ყველა დონეზე;
3. შრომის ბაზრის მონაცემები; შრომის ბაზრის კვლევა და შესაბამისი ინფორმაცია;
4. პოლიტიკის განვითარება, კანონები და რეგულაციები;
5. პროფესიული განათლების დაფინანსების მოდელები/მიდგომები;
6. ხარისხის უზრუნველყოფა - მოდელები, მექანიზმები;
7. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება ყველა მიმართულებით.

საჭიროებათა კვლევის საფუძველზე ჩატარდა 2 საინფორმაციო სემინარი:

1. 2015 წლის 29 მაისს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ჩატარდა ეროვნული პროფესიული საბჭოს სემინარი; სემინარს დაესწრო 24 წევრი, მათ შორის ეროვნული პროფესიული საბჭოს წევრები, სოციალური პარტნიორები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები. სემინარი შეეხო შემდეგ საკითხებს;

- აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკა და პროფესიული განათლება 21-ე საუკუნეში- ძირითადი ტენდენციები და პერსპექტივები;
- ეროვნული პროფესიული საბჭოების ფუნქციონირება, საერთაშორისო გამოცდილება; 2015 წლის სამუშაო გეგმა;
- ეროვნული პროფესიული საბჭოსა და სამდივნოს შესაძლებლობების გაძლიერების მეთოდოლოგია, პროცედურები და ინსტრუმენტები;
- პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიის 2015 წ. სამოქმედო გეგმის განხორციელება.

მეცნიერებები/ტელეკომუნიკაციები; 13.არქიტექტურა; 14.მეცნიერება/ზუსტი მეცნიერება.

⁶ UNDP-ის მიერ 2015 წელს მომზადებული “სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების სიტუაციური ანალიზის” ფარგლებში ჩატარებული კვლევა (ფოკუს ჯგუფები, ინტერვიუები); ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში 2015 წელს ჩატარებული საკაბინეტო კვლევა “სოციალური პარტნიორობა საქართველოში”; ETF – ის მიერ 2014 წელს მომზადებული კონფერენციის “სოციალური პარტნიორობის მხარდაჭერა საქართველოს პროფესიული განათლების სფეროში” ფარგლებში ჩატარებული საკაბინეტო კვლევა.

2. 2015 წლის 25 სექტემბერს სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ ჩატარდა ეროვნული პროფესიული საბჭოს საინფორმაციო სემინარი, რომელსაც დაესწრო 25 წევრი, მათ შორის ეროვნული პროფესიული საბჭოს წევრები, სოციალური პარტნიორები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები. სემინარი შეეხო შემდეგ საკითხებს:

- 2015 წლის რიგის დასკვნები;
- საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება - პროფესიული განათლება ირლანდიაში;
- ეროვნული პროფესიული საბჭოს შესაძლებლობების გაძლიერება.

მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს სემინარების თემატიკა და ორგანიზება; შეფასების მიხედვით მნიშვნელოვანია მსგავსი შეხვედრების გაგრძელება, საერთაშორისო თუ ადგილობრივი გამოცდილების განხილვა და გაზიარება.

ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით მომზადდა ეროვნული პროფესიული საბჭოს სამდივნოს მუშაობის სახელმძღვანელო დოკუმენტი. დოკუმენტში ასახულია სამდივნოს როლი, ფუნქციები და ეფექტური ფუნქციონირებისთვის საჭირო რეკომენდაციები.

ევროკავშირისა და MCA-G პროექტებთან ერთად პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი ახორციელებდა თემატური სამუშაო ჯგუფების მუშაობის მონიტორინგს.

2.2. სოციალური პარტნიორობა მეზო დონეზე - დარგობრივი საბჭოები

1. დარგობრივი საბჭოების ფორმატი და ფუნქციონირება

2015 წელს განახლდა დარგობრივი საბჭოების რეგულაციები შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე: „დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესი“, „დარგობრივი საბჭოების შემადგენლობა“ და „დარგობრივი საბჭოების საქმიანობის ანაზღაურების წესი“⁷.

გათვართოვდა დარგობრივი საბჭოების ფუნქციები, რაც შემდეგში გამოიხატება:

- პროფესიულ განათლებასა და შრომის ბაზარს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფის პროცესის ხელშეწყობა;
- პროფესიული სტანდარტების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების შემუშავების საჭიროების შესახებ ინიციატივების განხილვა;
- პროფესიული სტანდარტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების პროექტების განხილვა;
- მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ან/და პროფესიული განათლების პოლიტიკის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება.

განახლდა დარგობრივი საბჭოების ფორმატი, რომელიც ემყარება სოციალური პარტნიორობის პრინციპს. დარგობრივი საბჭოები ჩამოყალიბდა 11 მიმართულებით, რომელშიც, საერთო ჯამში, 97 წევრი ირიცხება. ეს მიმართულებებია:

1. ხელოვნების, განათლების, ჰუმანიტარული;
2. სოციალური, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის;
3. ბიზნესის, ადმინისტრირების, სამართლის;
4. ინჟინერიის;
5. მრეწველობის, კვების პროდუქტების გადამამუშავების;
6. მშენებლობის, არქიტექტურის;
7. ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების;

⁷სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N489, N 490 და N 491 ბრძანება, 2015 წლის 13 ივლისი

8. სოფლის მეურნეობის, სატყეო საქმის, მეთევზეობის, ვეტერინარიის;
9. ჯანდაცვის, სოციალური დაცვის;
10. მომსახურების სფეროს;
11. ტრანსპორტის.

2015 წლის ზაფხულის პერიოდიდან დარგობრივი საბჭოების სხდომები რეგულარულად ტარდება.

- 2015 წლის 20-26 ივლისის პერიოდში ჩატარდა 11 სხდომა, სადაც საბჭოებმა განიხილეს და დასამტკიცებლად რეკომენდაცია გაუწიეს 54 პროფესიულ სტანდარტსა და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებს;
- 2015 წლის 26 ოქტომბრიდან 23 დეკემბრამდე ჩატარდა დარგობრივი საბჭოების 11 სხდომა, სადაც განხილული იყო 27 პროფესიული სტანდარტი და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტები. ამათგან 23-ს გაეწია დამტკიცებაზე რეკომენდაცია, ხოლო ოთხს - გადამუშავებაზე.

დარგობრივი საბჭოების მიერ დადებითად შეფასებულ პროფესიულ სტანდარტებს ცენტრის დირექტორი ამტკიცებს.

2. დარგობრივი საბჭოების შესაძლებლობების გაძლიერება

2015 წელს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დარგობრივი საბჭოებთან ჩატარა საინფორმაციო სემინარები თემაზე: „დარგობრივი საბჭოების გაფართოებული როლი და ფუნქციები“ და „პროფესიული კვალიფიკაციების განვითარებისა და განახლების მეთოდოლოგია“. სემინარებში მონაწილეობა მიიღო დარგობრივი საბჭოების 65-მა წარმომადგენელმა.

2.3. სოციალური პარტნიორობა მიკრო დონეზე -სამეთვალყურეო საბჭოები

1. გრძელვადიანი და მოკლევადიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება -

2015 წელს ყველა საჯარო პროფესიული კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები, რომლის მიხედვითაც ხელმძღვანელობენ კოლეჯები.

2. სამეთვალყურეო საბჭოების საინფორმაციო სემინარი

ევროკავშირის „დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმის ტექნიკური დახმარების“ პროექტის მხარდაჭერით ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოების საჭიროებების კვლევა; კვლევის მიხედვით, სამეთვალყურეო საბჭოებისათვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიღება შემდეგ საკითხებზე:

1. კოლეჯების დაფინანსება; ეფექტური ბიუჯეტების პროცესი;
2. სოციალური პარტნიორობა; საჯარო-კერძო პარტნიორობა;
3. მონაცემები შრომის ბაზრის მოთხოვნების შესახებ;
4. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ; მარეგულირებელი დოკუმენტები; პროფესიული განათლების რეფორმები და სტრუქტურა;
5. კერძო სექტორის მონაწილეობა კოლეჯის მართვაში;
6. ხარისხის უზრუნველყოფა - თვითშეფასების პროცესი.

საჭიროებათა კვლევის საფუძველზე ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით ჩატარდა 2 საინფორმაციო სემინარი. სემინარების ძირითადი მიზანი იყო სამეთვალყურეო საბჭოების ინფორმირება მიმდინარე რეფორმებისა და საბჭოების ფუნქციონირების შესახებ, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და სხვა.

1. 2015 წლის 27 ივლისს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ჩატარდა სემინარი სამეთვალყურეო საბჭოების წევრებისთვის. სემინარის ძირითადი თემატიკა იყო:

- სამეთვალყურეო საბჭოები 21-ე საუკუნეში; საერთაშორისო გამოცდილება და პერსპექტივები;
- საბჭოების შესაძლებლობების გაძლიერება;
- პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიის (2013-20წწ) განხორციელება;
- სამეთვალყურეო საბჭოების რეგულაციის ახალი წესი -სამუშაო ვერსიის განხილვა.

2. 2015 წლის 21 ოქტომბერს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და 20 ნოემბერს ქუთაისში, კოლეჯ “იბერიაში”, ჩატარდა მეორე საინფორმაციო სემინარი. სემინარის ძირითადი თემატიკა იყო:

- შრომის ბაზრის შესახებ არსებული ინფორმაციის წყაროები საქართველოში;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფა - თვითშეფასების პროცესი საქართველოში;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინება პროფესიულ განათლებაში;
- კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული კოლეჯის მართვაში - საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.

მონაწილეების შეფასების მიხედვით მნიშვნელოვანია საინფორმაციო სემინარების თუ საინფორმაციო შეხვედრების რეგულარულად ჩატარება, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა-გაზიარება.

3. პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა

მოკლე მიმოხილვა

სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას ყველა დაინტერესებული პირისათვის; პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის გაფართოებას, საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერებას ინსტიტუციური და ფინანსური მართვის, ხარისხის მართვის, სოციალურ პარტნიორებთან მუშაობისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით და ზოგადად, გადაწყვეტილებების მიღების პროცედურების გაუმჯობესებას.

2013 წელს, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, სამინისტროში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ შეისწავლა საჭიროებები და შეიმუშავა რეკომენდაციები ქვეყნის მასშტაბით ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნების შესახებ. ახალი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნება მიმდინარეობს აღნიშნული რეკომენდაციების საფუძველზე.

სტრატეგიის მისაღწევ შედეგებს შორისაა:

- შრომის ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო ქსელის შექმნა რეგიონული განვითარებისა და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის გაუმჯობესება მიწოდების ეფექტურობის გაზრდის მიზნით;
- ინოვაციური და თანამედროვე სასწავლო გარემოს შექმნა;
- თანამედროვე ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ტექნოლოგიების უზრუნველყოფა; თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, ინოვაციური საგანმანათლებლო სივრცის შექმნა;

- საგანმანათლებლო დაწესებულებების ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება შშმ და სსმ პირების საჭიროებების მიხედვით, უნივერსალური დიზაინის პრინციპებზე დაყრდნობით; საგანმანათლებლო რესურსების ადაპტირება.

განხორციელებული აქტივობები და მიღწეული შედეგები

3.1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის გაფართოება, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

2015 წელს თბილისში დაფუძნდა სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი (სს “საქართველოს რკინიგზასთან“ თანამშრომლობის ფარგლებში).

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით დაიწყო არსებული კოლეჯების სასწავლო კორპუსების რეაბილიტაცია 8 დამატებით მუნიციპალიტეტში (ლაგოდეხი, დედოფლისწყარო, ალვანი, ხობი, სენაკი, ბაღდათი, სტეფანწმინდა, თიანეთი). 2015 წელს განხორციელდა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტები შემდეგ კოლეჯებში:

- სსიპ “საზოგადოებრივი კოლეჯი “აისი” - ალვანისა და დედოფლისწყაროს სასწავლო კორპუსები;
- სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯი “ლაკადა”;
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“ - ბაღდათში მდებარე სასწავლო კორპუსი;
- სსიპ შ.მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი- სენაკის სასწავლო ბაზა, რომელიც განკუთვნილია პროფესიული პროგრამებისათვის.

მიმდინარეობს სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები მესტიის კოლეჯში „თეთნულდი“; წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში (მცხეთა, წინამძღვრიანთკარი). უნივერსალური დიზაინის პროექტების მიხედვით ინფრასტრუქტურის სრული ადაპტაციისათვის დაფინანსდა 5 კოლეჯი („მერმისი“, „აისი“, „იბერია“, „ოპიზარი“, „სპექტრი“) და შესაბამისი სამუშაოები მიმდინარეობს.

ნაწილობრივი რეაბილიტაცია განხორციელდა სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“, სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „ახალი ტალღა“, სსიპ პროფესიულ კოლეჯში „მოდუსი“, სსიპ პროფესიულ კოლეჯში „ერქვანი“, სსიპ პროფესიულ კოლეჯში „ფაზისი“, სსიპ გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრსა და სსიპ პროფესიულ კოლეჯში „ბლექსი“.

2015 წელს ზუგდიდში დასრულდა სტუდენტური საერთო საცხოვრებლის რეაბილიტაცია; მიმდინარეობს სტუდენტური საერთო საცხოვრებლის რეაბილიტაცია ქუთაისში, მომზადდა სტუდენტური საცხოვრებლის მშენებლობის პროექტი მესტიის კოლეჯისთვის.

მინიმალური ტექნიკური აღჭურვილობის სტანდარტების საფუძველზე პროფესიულმა კოლეჯებმა შეიძინეს საჭირო აღჭურვილობა და ხელსაწყოები. კერძოდ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ, სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული 45 მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვისათვის საჭირო აღჭურვილობის შეძენის მიზნით დააფინანსა 21 სსიპ - პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება⁸.

⁸პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები: "ლაკადა", "ერქვანი", "მოდუსი", "იბერია", გლდანის პროფ.სასწავლებელი, "მერმისი", "თეთნულდი", "სპექტრი", "ახალი ტალღა", 'ფაზისი', "ბლექსი", "ოპიზარი", "აისი", "ემისი" ტექნიკური უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი, თსუ, გორის უნივერსიტეტი, ბათუმის უნივერსიტეტი, თელავის უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის უნივერსიტეტი

3.2. პროფესიული კოლეჯების შესაძლებლობების გაძლიერება

2015 წელს პროფესიული კოლეჯების შესაძლებლობის გაძლიერების მიზნით არაერთი აქტივობა განხორციელდა. ISO სერთიფიცირების ფარგლებში ტრენინგები ჩატარდა პროფესიული კოლეჯების „იბერია“ და „ფაზისი“ ადმინისტრაციული პერსონალისათვის. ტრენინგის თემა იყო ხარისხის მართვის შიდა სისტემის დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება და სხვა.

ესტონური პროექტის "ესტონეთის წარმატებული გამოცდილების გაზიარება" ფარგლებში, "ინოვეს" მხარდაჭერით ჩატარდა **ორდღიანი სემინარი** საზოგადოებრივ კოლეჯში „მერმისი“. 8 კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალი და მასწავლებლების ნაწილი გადამზადდა შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესებაში.

პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს დონორი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ, სხვადასხვა ქვეყნებში განხორციელებულ **სასწავლო ტურებში** (გერმანია, ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი) საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით.

პროფესიული განათლების სექტორში მენეჯერების კომპეტენციების გასაძლიერებლად ევროკავშირის „დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტის“ ფარგლებში 320 მენეჯერთან ჩატარდა ტრენინგის საჭიროებების ანალიზი. ანალიზის შედეგად ტრენინგი ჩატარდება 294 მენეჯერთან საქართველოს 6 რეგიონში⁹.

3.3. პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა მოწყვლადი ჯგუფებისთვის

2015 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის ფარგლებში „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ მომზადდა ანგარიში “მოწყვლადი ჯგუფების პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა- სიტუაციური ანალიზი”. ანგარიშში გაანალიზებულია 8 მოწყვლადი ჯგუფის¹⁰ პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა. შემოთავაზებულია რეკომენდაციები მოწყვლადი ჯგუფების პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ამავდროულად პროექტის ფარგლებში მომზადდა მოწყვლადი ჯგუფების პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის კონცეფცია.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის

⁹ 1. საქართველოს ეკონომიკის, შრომის ბაზრის და საგანმანათლებლო სისტემის გაგება;

2. პროფესიული განათლების პოლიტიკა, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;

3. საკვალიფიკაციო ჩარჩო და საქართველოს საკვალიფიკაციო ჩარჩო;

4. პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა;

5. პროფესიული განათლების დაფინანსება;

6. სწავლება 21-ე საუკუნეში და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების როლი განათლებაში;

7. პროფესიული განათლების სექტორის მართვის შესავალი;

8. სასკოლო საქმიანობის დაგეგმვა ევროპის განათლების ფონდის მიერ შემუშავებული მოდულის საფუძველზე.

¹⁰1. სოციალურად დაუცველი პირები;

2. ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები;

3. სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული ბენეფიციარები;

4. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები;

5. იძულებით გადაადგილებული პირები;

6. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები;

7. ვეტერანები;

8. რეპატრირებული მესხები.

გაუმჯობესების მიზნით 2015 წლის განმავლობაში განხორციელდა 5 პროფესიული კოლეჯის (“იბერია”, “აისი”, “მერმისი”, “ოპიზარი”, “სპექტრი”) ინფრასტრუქტურის უნივერსალური დიზაინის პრინციპით დაპროექტება.

ქართული ქესტური ენის განვითარებისა და სწავლის პროცესის გამარტივების მიზნით, 2015 წლის განმავლობაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით, საქართველოს ყრუთა კავშირმა შეაგროვა 4000 ქესტზე მეტი, რომლებიც ატვირთულია ინტერნეტ გვერდზე. ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება. სმენადაქვეითებული პირების პროფესიული სწავლება მთელი წლის განმავლობაში მხარდაჭერილი იყო ქესტური ენის თარჯიმნების მომსახურებით.

შეიქმნა მხედველობადაქვეითებულ პირთა განათლების უზრუნველყოფისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებების ჩამონათვალი, რომელთა შექმნაც მომავალ წელს მოხდება. ბრაილის შრიფტით წიგნის გამოყენების მიზნით შეიქმნა 1 აუდიო წიგნი.

2015 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მსჯავრდებულთა, ყოფილ პატიმართა და მათი ოჯახის წევრთა პროფესიული მომზადების პროგრამები; პროგრამებს სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯები ახორციელებენ. 2015 წელს მოკლევადიანი კურსები გაიარა 400-მდე ბენეფიციარმა.

შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებმა 2015 წელს დაიწყეს სამუშაოს მამიებელთა მომზადება-გადამზადების პროგრამა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ კოორდინაცია გაუწია შრომის ბაზრის კვლევის შედეგად გამოვლენილ 50 ყველაზე მოთხოვნად პროფესიაში მოკლევადიანი პროფესიული პროგრამების შემუშავების პროცესს.

3.4. საცხოვრებელი სტიპენდიების უზრუნველყოფა

პროფესიული სტუდენტების საცხოვრებელი სტიპენდიებით უზრუნველყოფა სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივაა. 2015 წელს მიმდინარეობდა მოლაპარაკებები სხვადასხვა სამინისტროებთან (ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო) სტუდენტების საცხოვრებელი სტიპენდიით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმაში“ ჩაიდო ჩანაწერი, რომლის მიხედვით ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 2016 წელს დევნილ პროფესიულ სტუდენტებს საცხოვრებელი სტიპენდიებით უზრუნველყოფს.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან

მოკლე მიმოხილვა

სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის არსებულ და სამომავლო მოთხოვნებთან შესაბამისობა. 2013 წლიდან მიმდინარეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმა, რაც მოდულური პროფესიული პროგრამების მომზადებას ითვალისწინებს; 2013 წელს ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის მხარდაჭერით მომზადდა პროფესიული სტანდარტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტანდარტის

მომზადებას/გადამუშავებას დამსაქმებელთა აქტიური მონაწილეობით სტანდარტული მეთოდოლოგიის (DACUM) საფუძველზე.

2013 წლიდან მიმდინარეობს NCEQE-ს „პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა“, პროგრამის მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულარიზება, რაც ხორციელდება ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის მხარდაჭერით მომზადებული მეთოდოლოგიის საფუძველზე.

2015 წლამდე მხოლოდ კოლეჯების მცირე ნაწილს ჰქონდა მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების თუ ცალკეული მოდულების პილოტირებისა და დანერგვის პროცესში მონაწილეობის გამოცდილება, ძირითადად კი - სოფლის მეურნეობის სფეროში. 2014 წელს UNDP-ის მხარდაჭერით დაინერგა 7 მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა აგრარული მიმართულებით¹¹. 2015 წელს გაანალიზდა დანერგვის პირველი ეტაპი და დაიწყო დამატებით 45 მოდულური პროგრამის სწავლება.

მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება და დანერგვა მოითხოვს შესაბამისი რესურსების მობილიზებას როგორც სისტემის, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე, რაც სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. სტრატეგიაში ასევე ხაზგასმულია საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისათვის საჭირო მინიმალური აღჭურვილობის სტანდარტის დადგენა და მექანიზმების განსაზღვრა მათი დაკმაყოფილების გადასამოწმებლად, სწავლების პროცესის ორგანიზება კერძო სექტორის მონაწილეობით. როგორც აღვნიშნეთ, კოლეჯების აღჭურვა მოხდა დამტკიცებული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამებისა და ტექნიკური ნორმატივების შესაბამისად.

განხორციელებული აქტივობები და მიღწეული შედეგები

4.1. შრომის ბაზრის ანალიზი

შრომის ბაზრის კვლევებისა და პროგნოზირების ვალდებულება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აქვს. 2015 წელს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ ჩაატარა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა შრომის ბაზრის არსებული და მომავალი მოთხოვნების შესახებ.

რაოდენობრივი კვლევის მიზანს წარმოადგენს შრომის ბაზარზე დამსაქმებელთა მოთხოვნების შესახებ დეტალური ინფორმაციის შესწავლა. კონკრეტულად, წარსულში არსებული, მიმდინარე და მომავალი ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის შეგროვება; დასაქმების მოსალოდნელი ტენდენციების გამოვლენა და მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება. რაოდენობრივი კვლევამ ჩატარდა საქართველოს 11 რეგიონში, 6000 ორგანიზაციასთან (როგორც საჯარო, ისე არასაჯარო სექტორი). კვლევაში მონაცემები გაანალიზდა რეგიონების, ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების, განათლების დონისა და პროფესიების მიხედვით. ეს საქართველოში შრომის ბაზრის პირველი მასშტაბური კვლევაა. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული უწყებისთვის. 2016 წლიდან სამინისტრო შრომის ბაზრის კვლევებს სისტემატურად ჩატარებს.

თვისებრივი კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა თბილისსა და საქართველოს რეგიონებში სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნის

¹¹ 2014 წლის შემოდგომაზე დაიწყო 7 მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა 4 საგანმანათლებლო დაწესებულებაში: სსიპ „ოპიზარი“, ა(ა)იპ „პრესტიჟი“, სსიპ „აისი“ და შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი სოფლის მეურნეობის სფეროს შემდეგ პროგრამებზე: რძის გადამამუშავებელი, მევენახე-მეღვინე, ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი, ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი, ზოოტექნიკოსი, ფერმერი, მეხილე.

შესწავლა;

- არსებულ გეოგრაფიულ არეალში დასაქმების შესაძლებლობები;
- სამუშაო ადგილების შექმნაზე გავლენის მქონე ფაქტორები;
- კვალიფიკაციის საკითხები – თანამშრომელთა კვალიფიკაცია და მათი გადამზადების პრაქტიკა.

სულ ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა 240 ინტერვიუ; ყოველ რეგიონში შეირჩა 20-დან 25-მდე საწარმო.

MCA-G პროექტის ფარგლებში მომზადდა ანგარიში “შრომის ბაზრის შესახებ არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში”; ანგარიში მომზადდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. მასში თავმოყრილია საქართველოში არსებული შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის ყველა წყარო, როგორცაა სტატისტიკური ინფორმაცია, ინფორმაცია შრომის ბაზრის მოთხოვნასა და მიწოდების შესახებ, სამუშაო ძალის შესახებ და სხვა; 2016 წელს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მომზადდება გზამკვლევი ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროების კვლევის შესახებ; პროფესიულ კოლეჯებთან ჩატარდება ტრენინგები ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევისა და კვლევის შედეგების საგანმანათლებლო პროგრამებში ასახვასთან დაკავშირებით.

„პროფესიულ კვალიფიკაციათა ხელშეწყობის პროგრამა“ შრომის ბაზარზე არსებული პროფესიებისა და მათთვის კომპეტენციებზე მოთხოვნის შესახებ მცირემასშტაბიან ბაზრის კვლევებს ახორციელებს (DACUM მეთოდოლოგიის გამოყენებით). 2015 წელს მოეწყო 20 დარგობრივი შეხვედრა სფეროს წამყვან კომპანიებთან და ექსპერტებთან (პროფესიული სტანდარტების შემუშავების პროცესში შექმნილი სამუშაო ჯგუფების ფორმატში).

4.2. პროფესიული და შეფასების სტანდარტები

1. პროფესიული სტანდარტები

2015 წელს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის “პროფესიული კვალიფიკაციების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის” ფარგლებში შემუშავდა 99 პროფესიული სტანდარტის პროექტი ყველაზე მოთხოვნად პროფესიებზე შემდეგი მიმართულებით:

1. მშენებლობისა და არქიტექტურის მიმართულება;
2. სოფლის მეურნეობის, სატყეო საქმის, მეთევზეობისა და ვეტერინარიის მიმართულება;
3. მრეწველობის, კვების პროდუქტების გადამამუშავების მიმართულება;
4. სოციალური მეცნიერებების, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება;
5. ბიზნესის, ადმინისტრირების, სამართლის მიმართულება;
6. ჯანდაცვის, სოციალური დაცვის მიმართულება;
7. მომსახურების სფეროს მიმართულება.

დარგობრივ საბჭოებთან ვალიდაცია გაიარა და დამტკიცდა 54 პროფესიული სტანდარტი¹².

2. შეფასების სტანდარტები

შეფასების სტანდარტების მიზანია პროფესიული განათლების სისტემაში შეფასების ხარისხის და შესაბამისად, პროფესიული კვალიფიკაციების ხარისხის გაუმჯობესება. 2015 წელს პროექტის ფარგლებში მომზადდა 101 პროფესიული კვალიფიკაციის შეფასების სტანდარტი (2014 წელს მომზადებული მოდულური პროგრამებისთვის). დამტკიცდა შეფასების 54 სტანდარტი¹³.

¹² დამტკიცებული პროფესიული სტანდარტები განთავსებულია ელექტრონულ რეესტრში ვებგვერდზე www.vet.ge.

¹³ ცენტრის დირექტორის N 529(27/07/2015) ბრძანება.

4.3. მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტები და შეფასების ინსტრუმენტები

1. მოდულური საგანმანათლებლო პროგრამებისა და შეფასების ინსტრუმენტების მომზადება

2015 წელს მომზადდა 101 მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი, 54 მათგანი დამტკიცდა 2015 წელს. მოდულური პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები გაანალიზდა და შემუშავდა რეკომენდაციები მათი გაუმჯობესების მიზნით; საერთო ჯამში გაანალიზდა 36 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული 150-ზე მეტი შეფასების ინსტრუმენტი.

შეფასების სანიმუშო ინსტრუმენტები მომზადდა 2015 წელს შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების პრაქტიკული პროექტის მოდულისთვის; 101 პრაქტიკული პროექტისთვის მომზადდა 150-მდე შეფასების ინსტრუმენტი.

2. შესაძლებლობების გაძლიერება მოდულური პროგრამებისა და შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში

კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლება-შეფასება პროფესიული განათების სფეროში სიახლეს წარმოადგენს. კომპეტენციებზე დაფუძნებულ შეფასებაზე ტრენინგები გაიარა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმირებაში ჩართულმა 300-ზე მეტმა პირმა, მათ შორის: პროგრამის ფასილიტატორებმა, დარგობრივი საბჭოების წევრებმა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორთა ჯგუფებსა და მოდულური პროფესიული პროგრამების დანერგვაში ჩართულმა პროფესიულმა მასწავლებლებმა.

2015 წლის განმავლობაში შერჩეული 69 დარგისა და 43 განათლების ფასილიტატორისათვის „პროფესიულ კვალიფიკაციათა ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგიაში. ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 663 პირმა¹⁴.

ტრენინგები ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ხარისხის სამსახურებისა და პროგრამების განვითარებაზე პასუხისმგებელი პირებისათვის შემდეგ საკითხებზე: პროგრამების შედგენა, ავტორიზაცია და აკრედიტაცია. ტრენინგში მონაწილეობა 77 პირმა მიიღო.

საგანმანათლებლო დაწესებულებებში ორი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა ადგილზე ვიზიტები და ინტერნეტ კონსულტაციები საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირებისა და საავტორიზაციო განაცხადების შედგენასთან დაკავშირებით. განხორციელდა სულ 72 ვიზიტი.

3. საგანმანათლებლო გარემოსა და მინიმალური ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების შემუშავება

2015 წლის თებერვალში „პროფესიულ კვალიფიკაციათა ხელშეწყობის პროგრამამ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით მოამზადა საგანმანათლებლო გარემოსა და მინიმალური ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების მეთოდოლოგია.

¹⁴ 67 საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, 18 სასწავლო სატრენინგო ცენტრიდან და 131 სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციიდან

ნორმატივები საფუძვლად დაედო 2015 წელს მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის საგანმანათლებლო გარემოს შექმნას (სსიპ- საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს). ნორმატივების გათვალისწინებით ავტორიზაციის ფარგლებში შემოწმდა საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ინფრასტრუქტურული სტანდარტის შესრულება.

2015 წელს შეიქმნა ნორმატივები 170 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, მათ შორის გაეროს განვითარების პროგრამის „საქართველოში სოფლის მეურნეობის მიმართულების პროფესიული განათლებისა და ექსტენციის სერვისების მოდერნიზაციის პროექტის“ ფარგლებში 2014 წელს შემუშავებული პროგრამების მოდულებისთვის. მოეწყო 50-ზე მეტი სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა სპეციალისტმა.

4.4. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა

სწავლება-შეფასების ორგანიზება

2015 წლიდან დაიწყო ახალი, 45 მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვა (748 სავალდებულო პროფესიული მოდულის). 2015 წლის საშემოდგომო მიღებაზე 32-მა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა დაწესებულებამ (მათ შორის 10 უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ) შემოიტანა განაცხადი 52 დასახელების 122 პროგრამაზე. მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირდა და ტესტირება გაიარა 2873 აპლიკანტმა, საშემოდგომო მიღებისას სახელმწიფო დაწესებულებებში ჩაირიცხა 1154 სტუდენტი, ხოლო კერძოში - 109 სტუდენტი.

“პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა” პასუხისმგებელია დანერგვის პროცესის მონიტორინგზე. 2015 წელს ვიზიტი განხორციელდა დანერგვის პროცესში ჩართულ 26 საგანმანათლებლო დაწესებულებაში. მონიტორინგის პირველი ვიზიტის შედეგების შეჯამებისა და სამომავლო პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, 14-15 ნოემბერს კაჭრეთში, სასტუმრო „ამბასადორში“, UNDP-ის პროგრამის მხარდაჭერით გაიმართა სემინარი მოდულური პროგრამების დანერგვასთან დაკავშირებით. UNDP-ის პროგრამასთან თანამშრომლობით მომზადდა “მოდულური პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის კონცეფცია”, რომელიც გულისხმობს მუდმივ შიდა და გარე პერიოდულ დაკვირვებასა და მხარდაჭერას მოდულური პროგრამების დანერგვის პროცესში.

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება

2015 წელს UNDP მხარდაჭერით მომზადდა ანგარიში “სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების სიტუაციური ანალიზი საქართველოს პროფესიული განათლების სფეროში”. ანგარიში მომზადდა დაინტერესებულ მხარეებთან ფართო კონსულტაციის საფუძველზე. ანგარიშში თავმოყრილია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების როლი და მნიშვნელობა პროფესიული განათლების სფეროში, საქართველოში არსებული სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმები, მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, არსებული ხარვეზები. ანგარიშში ასევე ასახულია დაინტერესებული მხარეებისათვის მისაღები სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელი/მიდგომა. ანგარიშის საფუძველზე მომზადდა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების კონცეფცია.

2015 წლის 28 დეკემბერს ეროვნული პროფესიული საბჭო გაეცნო სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების კონცეფტუალურ ჩარჩოს, რომელზე მუშაობაც გაგრძელდება 2016 წელს. ამავე წელს იგეგმება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პილოტირება.

4.5. საგანმანათლებლო რესურსები

2015 წლის განმავლობაში “პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის

პროგრამის საგანმანათლებლო რესურსების განვითარების“ კომპონენტის კოორდინირებით მომზადდა რესურსები 54 მოდულური პროგრამისათვის (400-ზე მეტი პროფესიული მოდული)¹⁵.

მასწავლებლის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა პროფესიული მასწავლებლებისათვის მოამზადა 7 გზამკვლევი; დასრულდა პროფესიულ განათლებაში ინდივიდუალური გეგმის გზამკვლევის და რეგულაციის შემუშავება. შეიქმნა ერთი კონსოლიდირებული გზამკვლევი, რომელიც მოიცავს ყველა საჭირო მახასიათებელს.

ელექტრონული საგანმანათლებლო მასალები

2015 წელს 30 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის მომზადდა საგანმანათლებლო მასალები (ტუროპერატორი, სასტუმრო საქმე, ვიზაჟისტი, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი და სხვა). მომზადებული მასალები ატვირთულია ვებ-გვერდზე (www.eqe.ge).

ICT-ზე - დაფუძნებული სწავლების მასალების შემუშავება და ICT-ზე - დაფუძნებული სწავლების პილოტირება საგანმანათლებლო დაწესებულებებში

შემუშავდა ICT-ზე დაფუძნებული სასწავლო მასალები, ჩატარდა ტრენინგები რამდენიმე პროფესიის მიმართულებით: ელექტრიკოსი, რძის გადამამუშავებელი, მეღვინეობა, მეხილეობა და მეხოსტნეობა და სხვა, სადაც მონაწილეობა მიიღეს პროფესიული სასწავლებლების პედაგოგებმა და IT სპეციალისტებმა.

გაკეთდა მოდულების სასწავლო კურსი ვებგვერდზე, შეიქმნა ვირტუალურ ტექნიკური ლაბორატორია და აღნიშნული სასწავლო მასალები დაინერგა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

საგრანტო კონკურსი

MCA-G პროექტი „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ ადმინისტრირებას უწევს საგრანტო კონკურსს პროფესიული განათლების განვითარებისთვის, რომლის ბიუჯეტი არის 12 მილიონიან აშშ დოლარი; საგრანტო კონკურსის მიზანია დაეხმაროს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეიმუშავონ ან განაახლონ შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი ახალი ან არსებული საგანმანათლებლო პროგრამები (განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო, საინჟინრო და ტექნოლოგიების (STEM) სოფლის მეურნეობასა და ტურმიზმის სფეროებში). საგრანტო კონკურსი ოფიციალურად გამოცხადდა 2015 წლის 22 ივლისს. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლო სახელმწიფო და კერძო პროფესიულ სასწავლებლებს, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, კომპანიებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ სხვა იურიდიულ პირებს, რომლებიც ახორციელებენ ან აპირებენ საქმიანობის დაწყებას პროფესიული განათლების სფეროში. გამარჯვებული პროექტების გამოვლენა და განხორციელება დაიწყება 2016 წლიდან.

MCA-G პროექტი „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ ადმინისტრირებას უწევს მცირე საგრანტო კონკურსს, რომლის ბიუჯეტი არის 250,000 აშშ დოლარი; საგრანტო კონკურსის მიზანია პროფესიული განათლების სფეროში წახალისოს საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენა, დანერგვა და გავრცელება და ამდენად ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების განმახორციელებლების პრაქტიკის გაუმჯობესებას, როგორც ფორმალურ ასევე არაფორმალურ განათლების სფეროში. კონკურსი ოფიციალურად 215 წლის 4 დეკემბერს გამოცხადდა. გამარჯვებული პროექტების გამოვლენა და განხორციელება დაიწყება

¹⁵რესურსები ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე : www.vet.ge.

2016 წლიდან.

5. პროფესიული მასწავლებლების შესაძლებლობები და უწყვეტი პროფესიული განვითარება

მოკლე მიმოხილვა

სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა პროფესიული მასწავლებლების მომზადებასა და მათი სისტემაში შესვლის ხელშეწყობას, უწყვეტ პროფესიულ განვითარებას სწავლების თანამედროვე მიმართულების შესაბამისად, მასწავლებლების სისტემაში დარჩენის წახალისებასა და ზოგადად, პროფესიული მასწავლებლის სტატუსის ამაღლებას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა მასწავლებლებისათვის გამოწვევაა და ამ მიმართულებით მათი არსებითი დახმარება და მხარდაჭერაა საჭირო.

სტრატეგიაში და 2015 წლის სამოქმედო გეგმაში ხაზგასმულია როგორც მარეგულირებელი ჩარჩოსა და დოკუმენტების მომზადება, ასევე მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება მრავალფეროვანი საშუალებებით, როგორცაა ტრენინგები, სემინარები, შეხვედრები, კონსულტაციები, სასწავლო ტურები და სხვა. შესაძლებლობების გაძლიერება მოიცავს თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებას, მოდულური პროგრამების მიხედვით სწავლება-შეფასებას, ინკლუზიური განათლების პრინციპების გაცნობასა და სხვა. აღსანიშნავია სტრატეგიის ახალი ინიციატივა, რაც შეეხება მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას საწარმოებში, განსაკუთრებით ახალი ტექნოლოგიებისა და მიმართულებების გაცნობის მიზნით.

სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს მასწავლებლების მონაცემთა ბაზის შექმნასა და ინფორმაციის მუდმივ განახლებას მტკიცებულებაზე დამყარებული პოლიტიკისა და ინტერვენციების განხორციელების მიზნით.

განხორციელებული აქტივობები და მიღწეული შედეგები

5.1. პროფესიული განათლების მასწავლებლების ტრენინგი სისტემურ დონეზე

2015 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მუშაობა წარიმართა პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფციის სამოქმედო გეგმის შესაბამისად. TPDC-იმ ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის მხარდაჭერით მოამზადა “პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის რეგულირების” დოკუმენტი და ბრძანებების პაკეტი (სულ 6 ბრძანება) შემუშავდა პროფესიული მასწავლებლების პედაგოგიური კურსის პროექტი, რომელიც განიხილა თემატურმა სამუშაო ჯგუფმა და მოამზადა მასწავლებლებთან განსახილველად.

UNDP-ის მხარდაჭერით დაიწყო გზამკვლევზე მუშაობა “პედაგოგიური გზამკვლევი პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის”. გზამკვლევის მიზანია პროფესიული მასწავლებლების დახმარება სწავლება-შეფასების პროცესის ორგანიზებაში, სტუდენტების მოტივირებაში, სწავლებისათვის საჭირო გარემოსა და რესურსების ორგანიზებაში და სხვა.

5.2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა მონაცემთა ბაზა

2015 წელს შემუშავდა და ანალიზი გაუკეთდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა ერთიან მონაცემთა ბაზას; EMIS ბაზას მასწავლებლების შესახებ დაემატა ახალი ინფორმაცია (ველები) ხელფასისა და საათობრივი დატვირთვის შესახებ.

დასაწერად 52 მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით შემუშავდა პრაქტიკის მასწავლებლების მონაცემთა ბაზა. მონაცემთა ბაზაში აღრიცხულია 417 პრაქტიკის მასწავლებელი (249 მასწავლებელი 19 საჯარო კოლეჯში, 94 მასწავლებელი 15 კერძო კოლეჯში და 74 მასწავლებელი - 7 სახელმწიფო უნივერსიტეტში).

5.3. პროფესიული მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება

ამ თავში განხილულია 2015 წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობები მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, ესენია: ტრენინგები, საკონსულტაციო შეხვედრები, კონსულტაციები და სასწავლო ტურები.

5.3.1. ტრენინგები

• „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტრენინგი პროფესიული მასწავლებლებისათვის“

TPDC-ის ორგანიზებით ტრენინგი ჩატარდა 17 საჯარო კოლეჯში; ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 452 პედაგოგმა, რაც მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 60%-ს შეადგენს.

• პროფესიული მასწავლებელთა ტრენინგები საწარმოებში

პროფესიული მასწავლებლების ტრენინგი საწარმოებში სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რაც სისტემაში სიახლეს წარმოადგენს. TPDC-ის ორგანიზებით ტრენინგები ჩატარდა დასაწერად მოდულური პროფესიული პროგრამების მიმართულებით 29 პროფესიაში; ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 210-მა პედაგოგმა, რაც პედაგოგთა საერთო რაოდენობის 30 %-ს შეადგენს.

MCA-G პროექტმა “პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის” TPDC-თან ერთად 2015 წელს ჩატარა პროფესიული მასწავლებლებისა და საწარმო პრაქტიკის მასწავლებლების საპილოტე ტრენინგი კომპეტენციებს დაფუძნებულ სწავლება-შეფასებასთან დაკავშირებით. ტრენინგის მიზანი ასევე იყო პროფესიულ და საწარმოო პრაქტიკის მასწავლებლებს შორის კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა. იგეგმება ტრენინგების გაგრძელება 2016 წელს.

• პროფესიული მასწავლებლების ტრენინგები მოდულურ სწავლებაში

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით შემუშავდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგ-მოდული პროფესიული მასწავლებლებისათვის. ტრენინგი ჩატარდა 2 ეტაპად:

1. „ტრენინგი მოდულურ სწავლებაში პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლებისთვის - შესავალი კურსი“ ჩატარდა 18 საჯარო და 1 კერძო პროფესიულ სასწავლებელში; ტრენინგები გაიარა 545 პედაგოგმა (საერთო რაოდენობის დაახლოებით 72%).

2. „პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგი მოდულურ სწავლებაში - შეფასების ინსტრუმენტების განვითარება“ ჩატარდა 16 საჯარო კოლეჯში; ტრენინგი გაიარა 460-მა პედაგოგმა (საერთო რაოდენობის დაახლოებით 53%).

პროფესიულმა მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგი შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში: ტრენინგი ჩატარდა 16 საჯარო კოლეჯში; მასში მონაწილეობა მიიღო პედაგოგთა 60%-მა. შეფასებასთან დაკავშირებული ტრენინგების გაგრძელება სამომავლოდაც იგეგმება.

ზოგადი უნარების განმავითარებელი მოდულების „მეწარმეობის“, „რაოდენობრივი წიგნიერების“, „კომუნიკაციის“ და „ინტერპერსონალური უნარების“ მიმართულებით ტრენინგები გაიარა დაინტერესებული დაწესებულების 119-მა მასწავლებელმა.

• **მასწავლებელთა ტრენინგი ინკლუზიურ განათლებაში**

მასწავლებელთა ტრენინგები ჩატარდა ინკლუზიური პროფესიული განათლების შემდეგი მიმართულებით: „ინდივიდუალური მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების განათლება და პროფესიული ტესტირება_ნაწილი I“; ტრენინგი ჩატარდა 15 საჯარო კოლეჯში; ტრენინგს დაესწრო 399 პედაგოგი (საერთო რაოდენობის დაახლ. 53%);

5.3.2. საინფორმაციო შეხვედრები და კონსულტაციები პროფესიულ მასწავლებლებთან

„პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში 2015 წელს შედგა საინფორმაციო შეხვედრები სახელმწიფო და კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. 8 შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო დაინტერესებულმა 59-მა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებამ (კოლეჯები და უსდ-ები); შეხვედრებს დაესწრო სულ 222 პირი.

2015 წლის ნოემბრიდან დეკემბრის ჩათვლით, როცა კერძო და საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა, პროგრამის ფასილიტატორებმა მოდულების განხორციელებაში ჩართულ პედაგოგებს გაუწიეს რეკომენდაციები მოდულური პროგრამებით სწავლება-შეფასებასთან დაკავშირებით.

5.3.3. სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება - სასწავლო ტურები

2015 წლის აპრილში საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 9 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების 19 მასწავლებელმა მონაწილეობა მიიღო სასწავლო ტურში ესტონეთში, რომელიც პროფესიულ ტრენინგებს უკავშირდებოდა.

6. პროფესიული განათლების ხარისხი

მოკლე მიმოხილვა

პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიაში არსებულ გამოწვევებს შორის ხაზგასმულია პროფესიული განათლების ხარისხი და დამსაქმებლების ნაკლები ნდობა პროფესიული კვალიფიკაციების მიმართ.

შესაბამისად, სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გაუმჯობესებას, პროფესიული კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფას, კვალიფიკაციების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას კვალიფიკაციების საერთაშორისო აღიარებისა და მობილობის უზრუნველსაყოფად. საქართველოს ხარისხის უზრუნველყოფის მიდგომა უფრო მეტად უნდა დაუახლოვდეს ევროპულ გამოცდილებას როგორც სისტემის, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე.

პრიორიტეტულ მიმართულებებს შორისაა არაფორმალური (წინმსწრები) განათლების აღიარების სისტემის განვითარება. სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ცოდნის თუ უნარების აღიარების ვალიდური მიდგომების დანერგვას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს კომპეტენციების გაუმჯობესებასა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღებას.

ეს განსაკუთრებით ეხება დაბალკვალიფიციურ კადრებს, უმუშევარ მოსახლეობასა და პირებს, რომელთაც მოუწიათ სწავლის მიტოვება კვალიფიკაციის მიღების გარეშე.

პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა გამოცდილების დაგროვებისა და თვითშეფასების საფუძველზე თანდათან უნდა დაიწყონ ეფექტური ფუნქციონირება; სტრატეგიაში თვითშეფასების შემდგომი განვითარება და გაუმჯობესება ეფექტური პროფესიული განათლების მნიშვნელოვან კომპონენტადაა განხილული.

სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საქართველოს პროფესიული განათლების სტუდენტთა ან კურსდამთავრებულთა მონაწილეობა საერთაშორისო კონკურსებში/შეჯიბრებებში, რაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა ქვეყნებში წარმატებული პროფესიული განათლების მოდელების (ჩემპიონატების და სხვა) ადაპტირებას საქართველოში პროფესიული განათლების სხვადასხვა მიმართულებით.

განხორციელებული აქტივობები და მიღწეული შედეგები

6.1. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გაუმჯობესება

MCA-G პროექტმა "პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის" ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და "ხარისხის განვითარების თემატურ სამუშაო ჯგუფთან" ერთად გააანალიზა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო და მოამზადა რეკომენდაციები მის დახვეწა-განვითარებასთან დაკავშირებით; ანალიზი მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის როგორც გარე, ასევე შიდა მექანიზმებს. რეკომენდაციებში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია შემდეგ საკითხებზე: თვითშეფასების ფუნქციის გაძლიერება, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მექანიზმების გადახედვა/გადამუშავება მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნების შესაბამისად, შეფასებისა და კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შიდა და გარე შემოწმების (ვერიფიკაციის) მექანიზმების დანერგვა. მომზადდა შემდეგი დოკუმენტები:

1. საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნები და სიტუაციური ანალიზი;
2. პროფესიული კვალიფიკაციების შეფასების გარეხარისხის უზრუნველყოფის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა (feasibility study);
3. თვითშეფასების შეფასება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

2015 წლის 28 დეკემბერს ეროვნულმა პროფესიულმა საბჭომ განიხილა (და მოიწონა) წინადადება პროფესიული კვალიფიკაციებისა და შეფასების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გარე და შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მექანიზმების შემოტანასთან დაკავშირებით.

შევიდა ცვლილება "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტებით გაანგარიშების წესში".

6.2. არაფორმალური განათლების აღიარება

2015 წელს "არაფორმალური განათლების აღიარების თემატურმა სამუშაო ჯგუფმა" MCA-G პროექტის "პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის" დახმარებით განაახლა ევროპის განათლების ფონდის (ETF) მხარდაჭერით 2014 წელს შემუშავებული არაფორმალური განათლების აღიარების კონცეფცია და სამოქმედო გეგმა.

კონცეფციაში ასახულია არსებული სიტუაციის ანალიზი და ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები საქართველოში არაფორმალური განათლების აღიარების სისტემის ფორმირებასთან დაკავშირებით. არაფორმალური განათლების აღიარების საკითხებზე მუშაობა გაგრძელდება 2016 წელს, მათ შორის არის პილოტირება და შესაძლებლობების გაძლიერება.

6.3. საერთაშორისო და ეროვნული კონკურსები

2015 წლის ივნისის თვეში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, Worldskills Georgia-ს სახელით, გახდა WorldSkills International-ის სრულფასოვანი წევრი.

2015 წლის აგვისტოში, საქართველოს გუნდმა მონაწილეობა მიიღო Worldskills International-ის რიგით 43-ე საერთაშორისო შეჯიბრში, რომელიც გაიმართა სან პაოლოში. კონკურსისთვის შეირჩა 6 მონაწილე. დაიწყო მზადება 2016 წელს ჩასატარებელი WorldSkills Georgia-ს ფარგლებში, რიგით მესამე ეროვნული შეჯიბრებისთვის.

პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით EU-ს ტექნიკური დახმარების პროექტისა და GIZ-ის თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარეობს საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ანალიზი.

6.4. ხარისხის მართვა პროფესიულ კოლეჯებში

2015 წელს ISO 9001 - ხარისხის მართვის სერთიფიკატი გადაეცა ფოთისა და ქუთაისის პროფესიულ სასწავლებლებს; GIZ-ის მხარდაჭერით EFQM Excellence Model- (ხარისხის მართვის ევროპული ფონდის მოდელი) სერთიფიკატი მოიპოვა სამმა სახელმწიფო (საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი“; საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარი“ და საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“) და სამმა კერძო პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ (ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია - BPA; საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA; საზოგადოებრივი კოლეჯი „გეორგია“).

7. კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობა

მოკლე მიმოხილვა

კარიერული განვითარებისა და პროფორიენტაციის სერვისების გაძლიერება სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. სტრატეგიის მიხედვით პროფესიული განათლების სისტემა აქტიურად უნდა დაეხმაროს სტუდენტებს (აპლიკანტებს) ყველა ეტაპზე: სწავლის დაწყებამდე, სწავლის პროცესში და სწავლის დასრულების შემდეგ.

პროფესიულმა საგანმანათლებლო სისტემამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ინოვაციის, შემოქმედებითი უნარისა და მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით და ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლად უნდა იქცეს ადგილობრივ, რეგიონალურ, ეროვნულ თუ საერთაშორისო პარტნიორებს შორის.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მისაღწევ შედეგებს შორისაა:

1. კარიერული განვითარებისა და პროფესიული ორიენტაციის სისტემის გაუმჯობესება;
2. ინოვაციის, შემოქმედებითობისა და მეწარმეობის ხელშეწყობა პროფესიული განათლების სფეროში;
3. ინფორმაციის შეგროვება პროფესიული კურსდამთავრებულების სწავლის დასრულების შემდგომი აქტივობის შესახებ;

განხორციელებული აქტივობები და მიღწეული შედეგები

7.1. მარეგულირებელი დოკუმენტების მომზადება

ევროკავშირის „დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტის“ მხარდაჭერით უწყებათაშორისი თანამშრომლობის საფუძველზე, „პროფესიული

კონსულტაციის/კარიერის დაგეგმვისა და სამეწარმეო განათლების” თემატური სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შეიქმნა პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სტანდარტი.

UNDP-ის მხარდაჭერით მომზადდა კონცეფციის სამუშაო ვერსია “საორიენტაციო და მოსამზადებელი პროფესიული კურსი”; მისი მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყანაში ადამიანური რესურსების განვითარებას; გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას; საზოგადოების ყველა ფენის (სოციალურად დაუცველი და სხვა მოწყვლადი ჯგუფების) წარმომადგენლის განათლებას, თვითრეალიზებასა და დასაქმებას; ახალგაზრდების NEET კატეგორიაში¹⁶ მოხვედრის პრევენციას.

ევროკავშირის „დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტის“ მხარდაჭერით მომზადდა “კარიერის კონსულტანტების სახელმძღვანელო”; სახელმძღვანელო განხილვის პროცესშია EU Twinning პროექტთან და სამუშაო ჯგუფთან ერთად.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მოამზადა კონცეფციის სამუშაო ვერსია “თვითდასაქმებისა და მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის მიერ”; კონცეფციის მიზანია პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა თვითდასაქმების ხელშეწყობა და შესაბამისი მექანიზმების განვითარება. კონცეფცია განხილული იყო ეროვნული პროფესიული საბჭოს სხდომაზე, რომელიც 2015 წლის 30 ნოემბერს ჩატარდა.

7.2. ტრენინგები

ევროკავშირის „დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტის“ ფარგლებში შემუშავდა “კარიერული დაგეგმვის” მოდული; ტრენინგი ჩატარდა რესურს ცენტრების წარმომადგენლებს, კოლეჯების დირექტორებსა და კარიერის დაგეგმვის ოფიცრებს. კარიერული დაგეგმვა წარმოადგენდა EU პროექტის მიერ ხორვატიაში განხორციელებული სასწავლო ტურის ერთ-ერთ ძირითად თემას. ტრენინგები კარიერული კონსულტანტებისთვის დაგეგმილია 2016 წელს.

MCA-G პროექტის ფარგლებში მომზადდა პროფესიული განათლების სფეროში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სიტუაციური ანალიზი; ანალიზის საფუძველზე მომზადდა სატრენინგო პროგრამა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის, მათ შორის პროფესიული კოლეჯების კარიერის მენეჯერებისთვის, რომლის დანერგვა დაიწყება 2016 წლიდან.

ACF-ის მხარდაჭერით ჩატარდა პროფ. ორიენტაციის სპეციალისტთა საჭიროებების ანალიზი; ასევე ჩატარდა 3 დღიანი ტრენინგი პროფესიული კოლეჯების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერებისთვის.

7.3. კვლევები

1. პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა კვლევა (ე.წ. tracer study); კურსდამთავრებულთა კვლევა (ე.წ. tracer study) 2014 წლიდან ტარდება.

- 2015 წელს კვლევის ფარგლებში გამოიკითხა პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლების 2014 წლის 2591 კურსდამთავრებული (55.7% ქალი და 45.5% კაცი; საშუალო ასაკი 26 წელი; 16-68 წელი).

¹⁶ახალგაზრდების კატეგორია, რომლებიც არც სწავლობენ და არც დასაქმებულნი არიან

- გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 30,4%-მა სასწავლებლის დასრულების შემდეგ მუშაობა დაიწყო, ხოლო 17,2% -ს სწავლის დასრულებამდე უკვე ჰქონდა ანაზღაურებადი სამუშაო. ამდენად, დასაქმების მაჩვენებელი ჯამში არის 47.6%; უმეტესობა მათგანმა (64.8%) ვინც მუშაობა სწავლის დასრულების შემდეგ დაიწყო ეს 1-3 თვის პერიოდში შესძლო;
- დასაქმებულთა უმეტესობა (81%) კერძო დაწესებულებაში/ორგანიზაციაში დასაქმებული;
- კურსდამთავრებულთა შეფასებით (65%) მათი სამუშაო დაკავშირებულია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ სპეციალობასთან;
- 95% კმაყოფილია არჩეული სასწავლებლით.

2. კურსდამთავრებულთა კვლევა აგრარულ სფეროში

2015 წელს ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აგრარული სექტორის, 2014 სასწავლო წლის 407-მა კურსდამთავრებულმა (246 კაცი და 161 ქალი).

- პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარებამდე ბოლო 1 წლის მანძილზე რესპოდენტთა მხოლოდ 23% მუშაობდა და 5% იყო თვითდასაქმებული, ხოლო 34% - უმუშევარი;
- პროფესიული სასწავლებლის დასრულების შემდეგ სამსახურის დაწყება 43% შეძლო; მუშაობის დაწყება 1-3 თვეზე ნაკლებ დროში 73%-მა მოახერხა.

8. პროფესიული განათლების იმიჯისა და სტატუსის გაუმჯობესება

მოკლე მიმოხილვა

სტრატეგიის მიზანია პროფესიული განათლების სტატუსის გაუმჯობესება, რომელიც ზოგად და უმაღლეს განათლებასთან შედარებით მეორეხარისხოვან ალტერნატივად განიხილება. სტრატეგიის მიზანია პროფესიული განათლება გახდეს პირის კარიერული განვითარების რეალური და ღირებული გზა.

პროფესიული განათლების მიმზიდველობაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი, როგორცაა: პროფესიული სტუდენტების წარმატებით დასაქმების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ცნობიერების ამაღლების კამპანიების მოწყობა პროფესიული განათლების პერსპექტივებისა და სარგებელის შესახებ, ეფექტური პროფესიული ორიენტაციისა და კონსულტაციის სისტემის ჩამოყალიბება, პროფესიული საგანმანათლებლო სისტემის გამტარიანობის გაუმჯობესება, სხვა საგანმანათლებლო სისტემისადმი წვდომა; მიმზიდველობის გაზრდის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ პროფესიული განათლება უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახდეს მოწყვლადი ჯგუფებისთვის, რომელთაც განათლებაზე ნაკლებად მიუწვდებათ ხელი.

პროფესიული განათლების შესახებ ინფორმაციის ეფექტურად გავრცელება ინფორმირების, ცნობიერების ამაღლებისა და გააზრების წინაპირობაა. სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის აქტივობებს შორისაა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელება მთლიანად საზოგადოებისა და კონკრეტული სემინტების ინფორმირების მიზნით.

განხორციელებული აქტივობები და მიღწეული შედეგები

8.1. საინფორმაციო შეხვედრები

საინფორმაციო შეხვედრები განხილულია მეორე თავში; კერძოდ, პროფესიული განათლების ეროვნული საბჭოს ყოველწლიური საინფორმაციო სემინარები და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოების საინფორმაციო სემინარები.

8.2. საკომუნიკაციო აქტივობები

2015 წელს განხორციელდა არაერთი საკომუნიკაციო აქტივობა, რომელთა შორისაა:

1. პროფესიული განათლების პორტალის ადმინისტრირება, რომელსაც პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველო ახორციელებს;
2. ღია კარის დღეები - საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების განმახორციელებელმა დაწესებულებებმა ღია კარის დღეები ჩაატარეს ორჯერ, 2015 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღებების წინ,;
3. ეროვნული სამოსის გამოფენა - 2015 წელს ჩატარდა 3 გამოფენა;
4. დასაქმების ფორუმის პოპულარიზაცია;
5. პროფესიული სტუდენტებისათვის ჩატარდა ღონისძიება მდგრადი განვითარებისთვის (sustainability);
6. გაიმართა რადიო გადაცემები;
7. სოციალური რეკლამა ტელევიზიით;
8. ბუკლეტები ქართულ ენაზე - საშემოდგომო მიღების წინ, სექტემბერში, GIZ-ის მხარდაჭერით დაიბეჭდა საინფორმაციო ბუკლეტები, რომლებიც “ქარავნის” ფარგლებში დარიგდა საქართველოს რეგიონებში;
9. 2015 წლის საშემოდგომო მიღებისთვის პროგრამის ფარგლებში დამზადდა საინფორმაციო რგოლი. შეიქმნა თემატური პოსტერი და კალენდარი.

8.3. შესაძლებლობების გაძლიერება

ინფორმაციის ეფექტურად გავრცელების უზრუნველყოფის მიზნით, ევროკავშირის „დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარების პროექტმა“ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტთან თანამშრომლობით ჩაატარა სიტუაციის ანალიზი და გამოიკვლია თანამშრომელთა ტრენინგის საჭიროებები; მიღებული შედეგების მიხედვით ჩაატარა ტრენინგები შემდეგ საკითხებზე:

- სამიზნე ჯგუფების საჭიროებების, მოლოდინებისა და სტერეოტიპების განსაზღვრა;
- საკომუნიკაციო არხებისა და მექანიზმების ეფექტურობის შეფასება და რელევანტური საშუალებების შერჩევა;
- სამიზნე ჯგუფებისათვის სწორად ჩამოყალიბებული გზავნილების მიწოდება;
- მედია საშუალებების მიმოხილვა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ალტერნატიული გზების მოძიება;
- ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული საკომუნიკაციო აქტივობების, სტრატეგიის ეფექტურობისა და შედეგიანობის მონიტორინგი/შეფასება;

გარდა ამისა, ჩატარდა სამინისტროს ვებ გვერდისა (mes.gov.ge) და პროფესიული განათლების პორტალის (vet.ge) სიღრმისეული ანალიზი. კომუნიკაციების აღნიშნული არხების მეშვეობით მომხმარებელთათვის მარტივი, გასაგები და რაც მთავარია საჭირო ინფორმაციის ეფექტურად მიწოდების უზრუნველსაყოფად მომზადდა რეკომენდაციები.

8.4. რეგულარული კვლევები

2015 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ UNDP-ის მხარდაჭერით ჩაატარა საზოგადოების, დამსაქმებლებისა და სტუდენტების დამოკიდებულების კვლევა.

1. საზოგადოების დამოკიდებულებების კვლევა პროფესიული განათლების მიმართ

2015 წელს კვლავ ჩატარდა 2801 რესპონდენტთან:

- პროფესიული განათლების შესახებ სმენია მოსახლეობის 88%;
- 61% პროფესიულ განათლებას აფასებს როგორც პრესტიჟულს; 5% - ძალიან პრესტიჟულს, ხოლო 29% - არაპრესტიჟულად მიიჩნევს;

- გამოკითხულთა ნახევარზე მეტს (51%) არაფერი სმენია პროფესიული განათლების რეფორმების შესახებ; მიმდინარე რეფორმების შესახებ საინფორმაციო კამპანიები არასაკმარისია 44%-თვის, 38% მეტ-ნაკლებად საკმარისად თვლის, ხოლო 11% - საკმარისად;
- ინფორმირების ძირითადი წყარო ტელევიზიაა, შემდეგ ნაცნობ-მეგობრები;
- მოსახლეობის 73% ისურვებდა, რომ მის შვილს უმაღლეს სასწავლებელში ჩაებარებინა, ხოლო 11%-ს-პროფესიულ პროგრამაზე.

2. დამსაქმებელთა დამოკიდებულებების კვლევა

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა დამსაქმებლების დამოკიდებულებების შესწავლა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული განათლების მიმართ.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 297 ინტერვიუ.

- 86%-ს აქვს გარკვეული ინფორმაცია პროფესიულ სასწავლებლებზე. მათ შორის, 21%, კარგად იცნობს პროფესიულ სასწავლებლებს;
- პროფესიული განათლების შესახებ ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო ტელევიზიაა (2/3), ნაცნობ-მეგობრები (27%) და სოციალური ქსელები (20%);
- 50% არაფერი იცის პროფესიული განათლების რეფორმის შესახებ; რესპონდენტების 72% ფიქრობს, რომ ინფორმაცია პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების შესახებ არასაკმარისია;
- 53% თვლის, რომ პროფესიული დიპლომის ფლობა არ არის კურსდამთავრებულის კვალიფიკაციის დამადასტურებელი;
- 2/3 თვლის, რომ საზოგადოების დამოკიდებულება პროფესიული განათლების მიმართ იცვლება დადებითი მიმართულებით, თუმცა ნელა (60%); 17% თვლის, რომ ამ მხრივ არაფერი იცვლება.

3. სტუდენტების დამოკიდებულებების კვლევა

კვლევაში შესწავლილი იყო სტუდენტების დამოკიდებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლის პროცესის მიმართ. კვლევა ჩატარდა 2207 სტუდენტთან.

- სტუდენტები კმაყოფილები არიან როგორც პროფესიული სასწავლებლით (96%), ასევე იმ პროფესიით, რომელსაც ეუფლებიან (97%).
- სტუდენტების უდიდესი უმრავლესობა (96%) მიიჩნევს, რომ მათ სასწავლო პროგრამაში შემაჯავლი საგნები მათ პროფესიას შეესაბამება; მასწავლებლებს აქვთ მაღალი დონის როგორც პროფესიული, ასევე პრაქტიკული გამოცდილება და კომუნიკაციის უნარი (98%).
- მიმდინარე რეფორმების შესახებ 34% იგებს ინფორმაციას პროფესიული სასწავლებლის ადმინისტრაციისაგან და მასწავლებლებისაგან, 21%- უბრალოდ ყური მოუკრავს, ხოლო 15% პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით იღებს ინფორმაციას.

თავი II. სტრატეგიის 2015წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების შეჯამება - ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები

ანგარიშში განხილულია პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიის 2015 წლის სამოქმედო გეგმის დანერგვის ძირითადი მიმართულებები და მიღწეული შედეგები.

სტრატეგიის წარმატებით განხორციელება მხოლოდ ერთი სამინისტროს ან/და დეპარტამენტის პასუხისმგებლობა ვერ იქნება; ამდენად, საჭიროა სააგენტოების, სოციალური პარტნიორების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიის დანერგვის პროცესში, რაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან ეფექტური კოორდინირებისა და მონიტორინგის მექანიზმების განვითარებას საჭიროებს. მნიშვნელოვანია 2014 წლიდან დაწყებული საკოორდინაციო ღონისძიებების გაგრძელება და გაძლიერება; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ-ების შესაძლებლობების გაძლიერება, საერთაშორისო და ადგილობრივი საუკეთესო გამოცდილების გაზიარება სტრატეგიის დანერგვისა და მონიტორინგის პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ SLAP მოდელი გახდეს მოქნილი და ეფექტური ინსტრუმენტი სტრატეგიის დანერგვის პროცესში; სტრატეგიის წარმატებით განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის მუდმივი განახლება და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

პროფესიული განათლების რეფორმის მიზნებსა და სტრატეგიაში განსაზღვრული შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია დაფინანსების ეფექტურ მექანიზმებზე/მოდელებზე მუშაობის გაგრძელება, დაფინანსების წყაროების გაფართოვება, კერძო სექტორის მოტივირებისა და ახალი ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა. მნიშვნელოვანია დაფინანსების ეფექტური განაწილების მექანიზმების ჩამოყალიბება საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებებს შორის, საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.

2015 წლის სამოქმედო გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობას, მაკრო, მეზო და მიკრო დონეზე არსებული სტრუქტურების შესაძლებლობების გაძლიერებას, თუმცა სოციალური პარტნიორობა კვლავაც სისტემის გამოწვევად რჩება. სამომავლოდაც მნიშვნელოვანია სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა ყველა დონეზე. ეროვნული პროფესიული საბჭოს ეფექტური ფუნქციონირებისათვის რეკომენდებულია საბჭოს და მასთან არსებული თემატური სამუშაო ჯგუფების მუშაობის ანალიზი/შეფასება და სამომავლო ნაბიჯების დაგეგმვა მიღებული შედეგების საფუძველზე. არსებითია სამდივნოს შესაძლებლობების გაძლიერება და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა. მნიშვნელოვანია სექტორულ დონეზე სოციალური პარტნიორობა უნარებსა და შრომის ბაზარს შორის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. გრძელვადიან პერსპექტივაში რეკომენდებულია დარგობრივი საბჭოების შესაძლებლობების გაძლიერება და შესაბამისად, ფუნქციების გაფართოვება. მიკრო დონეზე მნიშვნელოვანია სოციალური პარტნიორების დაინტერესება, მათთვის წამახალისებელი ინიციატივების შეთავაზება და თანამშრომლობის ხელშეწყობა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების ხარისხისა და შესაბამისობის გაუმჯობესებას. არსებითია სოციალური პარტნიორების ჩართვა პრაქტიკის დაგეგმვის, სწავლება-შეფასების, მონიტორინგისა და კვალიფიკაციების მინიჭების პროცესში. მნიშვნელოვანია განვითარდეს საჯარო-კერძო პარტნიორობის მოდელები სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომაზე ორიენტაციით.

2015 წლის სამოქმედო გეგმის პრიორიტეტებს შორის იყო საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარება; რეფორმის მნიშვნელოვანი მიმართულება იყო მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის დაწყება, რასაც თან ახლდა მეთოდოლოგიური მასალების მომზადება

და შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებები. 2015 წლის განმავლობაში მოდულური სწავლების შესაბამისად მოეწყო მოდულური პროგრამების დანერგვაში ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა; მიმდინარეობს სივრცის და სასწავლო მასალების ადაპტირება შშმ და სსმ პირებისათვის. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვაში, რომელიც რეფორმის მნიშვნელოვანი ინიციატივაა, ნაკლებია გამოცდილება როგორც სისტემის, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებებს დონეზე; ამდენად, რეფორმის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია მასწავლებლების და ინსტრუქტორების შესაძლებლობის უწყვეტი გაძლიერება მოდულური პროგრამების სწავლება-შეფასებასთან დაკავშირებით როგორც პროფესიულ სასწავლებლებში, ასევე საწარმოებში, შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსების მომზადება/ადაპტირება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა. ასევე, საჭიროა საუკეთესო გამოცდილების გაზიარება საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საწარმოებს შორის, მასწავლებლებსა და პროგრამაზე მომუშავე პროფესიონალებს შორის კომუნიკაციის გაძლიერება, დაინტერესებული მხარეების ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დანერგვისა და მონიტორინგის/შეფასების პროცესში.

2015 წელს (და ზოგადად ბოლო წლებში) განხორციელებული არაერთი აქტივობის და მიუხედავად, პროფესიული განათლების ხარისხი კვლავ გამოწვევად რჩება. 2015 წლის კვლევებიც აჩვენებს დამსაქმებელთა ნაკლებ ნდობას პროფესიული კვალიფიკაციების მიმართ, კურსდამთავრებულთა უნარების განვითარების საჭიროებას. მნიშვნელოვანია მუშაობის გაგრძელება ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოსა და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გაუმჯობესების მიმართულებით; კვალიფიკაციების მინიჭების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ჩამოყალიბება/გაუმჯობესება. მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების აღიარების სისტემის ჩამოყალიბება ევროპული გამოცდილების შესაბამისად.

მნიშვნელოვანია სამომავლოდაც გაგრძელდეს მუშაობა პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობაზე ყველა პირისათვის, მისი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ეროვნების, სქესის, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობის და მიუხედავად, განსაკუთრებით კი მოწყვლადი ჯგუფებისთვის (შშპ, სსმპ, სოციალურად დაუცველი, იძულებით გადაადგილებული პირები, ეთნიკური უმცირესობები და სხვა). ამისათვის, სამომავლოდაც აქცენტი უნდა გაკეთდეს საგანმანათლებლო ქსელის მოქნილ მიდგომაზე, როგორცაა საჭიროების შემთხვევაში ახალი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსება, რეგულარული, მოკლე და გრძელვადიანი კურსების შეთავაზება სკოლებში, სხვა დაწესებულებებში თუ სამუშაო ადგილზე, ელექტრონული და მობილური კურსების შეთავაზება და სხვა. არანაკლებ მნიშვნელოვანია მუშაობის გაგრძელება საგანმანათლებლო დაწესებულებების ფიზიკური სივრცის ადაპტირებასა და მომზადებაზე თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. რეკომენდებულია სტუდენტების ჩარიცხვის პოლიტიკის გადახედვა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროების გათვალისწინებით; პრევენციული და ინტერვენციის ზომების მიღება მიტოვების მაჩვენებლის შესამცირებლად.

2015 წელს გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა კარიერული განვითარებისა და პროფესიული ორიენტაციის სისტემის ჩამოყალიბება-გაუმჯობესების თვალსაზრისით. მომზადდა შესაბამისი დოკუმენტები და დაინერგა შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებები. კარიერული განვითარებისა და პროფესიული ორიენტაციის სისტემა ჩამოყალიბების პროცესშია და ამდენად, უმნიშვნელოვანესია ამ მიმართულებით დონორი ორგანიზაციების დახმარების ეფექტური კოორდინირება. საჭიროა პროფესიული სასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება პროფესიული ორიენტაციის, კონსულტაციისა და ინფორმირების საკითხებთან დაკავშირებით; სანდო და რელევანტური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

შრომის ბაზრის საჭიროების, კარიერული განვითარებისა და ა.შ. შესახებ.

კვლევები აჩვენებს, რომ მოსახლეობისა და დამსაქმებლების დამოკიდებულებები პროფესიული განათლების მიმართ იცვლება დადებითი მიმართულებით, თუმცა ეს ნელი პროცესია. პროფესიული განათლება უმაღლეს განათლებასთან შედარებით კვლავ ნაკლებად სასურველ საგანმანათლებლო ალტერნატივად განიხილება. დაინტერესებულ მხარეებს ნაკლები ინფორმაცია აქვთ პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების შესახებ. ამდენად, სტრატეგიის განხორციელების შემდეგ ეტაპზეც მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლება, პროფესიული განათლების პოპულარიზების ხელშეწყობა, მრავალფეროვანი საკომუნიკაციო აქტივობების დანერგვა, საინფორმაციო შეხვედრების, ექსკურსიების და სხვა მოწყობა. ასევე მნიშვნელოვანია რეგულარული კვლევების ჩატარება დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულებების მონიტორინგის მიზნით.